

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო სპეციალური წოდებების“ შესახებ
საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების“ შესახებ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №48, 2000 წელი, მუს. 137) მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის დეპარტამენტში წესდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სპეციალური წოდებები.

4. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოების, აგრეთვე აღსრულების პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურის სპეციალურ წოდებას წინ ემატება სიტყვა „იუსტიციის“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი